„ინოვაციების მრჩეველი“

როლი - სამუშაოს აღწერილობა[1]
პროგრამა მდგრადი მიზნების მიღწევისათვის, ითვალისწინებს ე.წ. „ინოვაციების მრჩევლების“ თანა-თავსებადი თანამდებობრივი პოზიციის არსებობას. ამ დოკუმენტში მოცემულია „ინოვაციების მრჩევლების“ პოზიციის მდგრადი ფუნქციონირების მიზნები. „ინოვაციების მრჩევლების“ პოზიცია შეიძლება იყოს თავსებადი სხვა პოზიციებთან და ის სამსახურებრივი უფლებამოსილების სახით დამატებული იქნას სტუ-ის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებში დასაქმებული დამხმარე პერსონალისა და საფაკულტეტო წარმომადგენლობების სამუშაო აღწერილობაში (მაგალითად დეკანის მოადგილის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით; სპეციალისტების და ა.შ); ამავე დროს, ეს არ წარმოადგენს ცალკე საშტატო ერთეულს და შესაბამისად უნივერსიტეტისაგან არ მოითხოვს დამატებით საბიუჯეტო სახსრებს. „ინოვაციების მრჩევლების“ ინსტიტუტის ფუნქციონირების მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს (დაეხმაროს) სწავლა-სწავლების პროცესში ბიზნეს ორგანიზაციების ჩართვა მათთვის სტუდენტებისა და აკადემიურ პერსონალთან რეალურ პროექტებზე მუშაობის შეთავაზებით. ისინი მუშაობენ რათა ბიზნესის ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში იყოს უფრო აქტიური და ქმედითი. პროგრამის ფარგლებში შეიძლება ჩატარდეს სერტიფიცირებული ტრენინგ-სემინარები, რათა თანამშრომლებს მიეწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია და ცოდნა „ინოვაციების მრჩევლის“ პასუხისმგებლობებსა და სამუშაო დანიშნულებაზე. ეს არის დიდი ბრიტანეთში აპრობირებული პრაქტიკა და მისი სტუ-ში ადაბტირება გაუმჯობესებს უნივერსიტეტში ინოვაციების დანერგვას - განსაკუთრებით ბიზნესებთან ურთიერთობების კონტექსტში. ეს პოზიცია წარმოადგენს კვლევებისა და ინოვაციების პროგრამის ნაწილს და მხარს უჭერს პროექტის ReInnova გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

ძირითადი მოვალეობები:
• ითანამშრომლოს ფაკულტეტის ადმინისტრაციებისა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან პრიორიტეტული ბიზნეს ჯგუფების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც მზად არიან ითანამშრომლონ სტუ-ისთან საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტების განვითარების მიზნით. ეს მოიცავს ნებისმიერი პოტენციური პროექტის სიცოცხლისუნარიანობის საკითხების განხილვას და უნივერსიტეტის, როგორც ცოდნის პარტნიორის, ექსპერტიზის სფეროების გათვალისწინებას; • ითანამშრომლოს საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ადმინისტრაციული ერთეულების და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, რათა გასწიოს

[1] *სამუშაოს ეს აღწერილობა არ არის გამიზნული, როგორც მოვალეობების ამომწურავი ჩამონათვალი ან პოზიციის შემზღუდავი განმარტება, არამედ არის როგორც სახელმძღვანელო ძირითადი პრიორიტეტებისა და პოზიციის ტიპიური აქტივობებისა. ეს აქტივობები ექვემდებარება ცვლილებას დროთა განმავლობაში, რადგან პრიორიტეტები და მოთხოვნები ვითარდება და, როგორც ასეთი, ის ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს ზემდგომი მენეჯერის განხილვის შედეგად.*

აკადემიური ჯგუფების ცოდნის ბროკერობა ინდივიდუალური შეხვედრებისა და დისკუსიებისას, ასევე საჭიროების შემთხვევაში დიდი საბროკერო ღონისძიებების ჩატარების გზით (მაგალითად ფორუმები; საქმიანი შეხვედრები; სემინარები და სხვა);

- აწარმოოს ეფექტური პროფესიონალური კომუნიკაცია და სამუშაო ურთიერთობები ბიზნეს ორგანიზაციებთან პროგრამის განხორციელების მიზნით;
- იმუშაოს ფაკულტეტის ხელმძღვანელთან და აკადემიურ ლიდერებთან, რათა აკადემიურ პერსონალში განევრცოს ის ცოდნა და უნარები, რომელიც მათ დაეხმარება ცოდნის პარტნიორის როლის ეფექტურად და ეფექტიანად შესასრულებლად, პრაქტიკული მოთხოვნების შესაბამისად;
- მოახდინოს ახალი კომპანიების იდენტიფიცირება და უზრუნველყოს მათთვის როგორც ძირითადი პარტნიორებისათვის პროგრამა ReINNOVA-ს ზოგადი კონცეფციის და მიზნების გაცნობა;
- კონსტრუქციულად გადაწყვეტოს შესაძლო პრობლემები პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, როგორც უნივერსიტეტში, ასევე გარე პარტნიორებთან ურთიერთობებისას;
- იყოს კომუნიკატორი დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებაში, მათ შორის ჩართულ კომპანიებთან, სტუდენტებთან, შიდა პერსონალთან, შესაბამის ფაკულტეტებთან და დეკანებთან.

სამუშაო პროცესები და შედეგები:

- უხელმძღვანელოს სტუდენტების რეკრუტირების პროცესს და უზრუნველყოს მათი მზადყოფნა პროგრამისათვის, ჩამოაყალიბოს სამიზნე შედეგები (ე.წ. deliverables);
- უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკის პროექტებში ჩართულ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის კოორდინაცია, მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში მიმართოს საფაკულტეტო სტრუქტურულ ერთეულებს რჩევისთვის;
- შეინარჩუნოს რეგულარული კომუნიკაცია პროგრამაში ჩართულ კომპანიებთან, ისევე როგორც სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, თითოეული პრაქტიკული პროექტის პროგრესის შესახებ;
- პროაქტიულად აკონტროლოს და მხარი დაუჭიროს სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს მუშაობის პროცესში ზედამხედველობით, გასცეს რეკომენდაციები, რათა უზრუნველყოს პროგრამის მოსალოდნელი შედეგების წარმატებით შესრულება და საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის აკადემიურ მხარდაჭერას;
- საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობისას ჩაატაროს სტუდენტების პროექტზე მუშაობის ანალიზი და წარადგინოს რეკომენდაციები კომპანიებისთვის ზეპირი ან წერილობითი მოხსენებების გზით, პროექტის შედეგებზე გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად;
- წარმოადგენს პროგრამას უნივერსიტეტს შიგნით და გარეთ;
- მისცეს რჩევა სტუდენტებსა და კომპანიებს იმ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ბიზნესის დახმარებისა და უნივერსიტეტის პროფესიული მხარდაჭერის შესაბამისი სერვისების განხორციელების დროს.